

იაპონიის პრემიერ მინისტრის, იოშიჰიკო ნოდას გახსნითი განცხადება

3 მარტი, 2012

[არაოფიციალური თარგმანი]

1. შესავალი

- რამოდენიმე დღეში ჩვენ აღვნიშნავთ აღმოსავლეთ იაპონიის დიდი მიწისძვრის წლისთავს. ამ უბედურებამ 20,000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის უცხოელებისაც. მე მინდა კიდევ ერთხელ ლოცვით მოვიხსენიო დაღუპულთა სულები და სამძიმარი გამოვუცხადო დაზარალებულ ოჯახებს.
- დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, 160-ზე მეტმა ქვეყანამ და 40-ზე მეტმა საერთაშორისო ორგანიზაციამ იაპონიას სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა აღმოუჩინა. იაპონელი ხალხის სახელით, მინდა კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა გადავუხადო ამ მხარდაჭერისთვის.
- ამ გახსნით განცხადებაში, მინდა შევეხო თანამედროვე იაპონიის სტატუსს და განვიხილო დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ აღდგენის გზაზე მყოფი იაპონიის მომავალი.

2. დაზარალებული რეგიონების რეკონსტრუქცია

- დაზარალებული რეგიონების ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა მყარად ვითარდება. მთლიანად აღდგენილია წარმოება. პროდუქციის დონემ სამთო და სამრეწველო სექტორში კი გადააჭარბა მიწისძვრამდელ მონაცემებს.
- დაზარალებულ რეგიონების ადგილობრივი მთავრობების 80 პროცენტზე მეტმა შეასრულა „რეკონსტრუქციის გეგმა“, რაც შეიცავს განახლებული ენერჯიებისა და წამყვანი სამედიცინო სფეროს განვითარების „გლობალური მოდელის“ წარდგენის ამბიციურ მიზნებს. ამ გეგმების განხორციელებით, ჩვენ ვგეგმავთ რეკონსტრუქციის გზაზე საგრძნობი ნაბიჯები გადავდგათ.
- მმართველმა და ოპოზიციურმა პარტიებმა გაერთიანებულად მიიღეს განსაკუთრებული ზომები და გადადგეს საჭირო ნაბიჯები ამ ზომების განსახორციელებლად. გასული წლის ბოლოს, მთავრობამ შემოიღო „რეკონსტრუქციის სპეციალური ზონების“ სისტემა, რომელიც შეიცავს განსაკუთრებული ზომების მიღებას, ისეთი, როგორც არის გადასახადების შემცირებას და ხუთი წლის ვადით გადასახადებიდან განთავისუფლებას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახალ ბიზნესს იწყებენ დაზარალებულ რეგიონებში.

პარლამენტმა მიიღო კანონი გადასახადის დროებით გაზრდასთან დაკავშირებით, რომელიც მოხმარდება რეკონსტრუქციის პროექტებს. მთავრობამ ასევე დააფუძნა ახალი ადმინისტრაციული ორგანო – რეკონსტრუქციის სააგენტო, და ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ დაზარალებული რეგიონების მაქსიმალური მხარდაჭერის აღმოსაჩენად.

3. კვების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

- გასული წლის ბოლოს, მე გამოვაცხადე ბირთული რეაქტორების გაციების შედეგის მიღწევის შესახებ, მაგრამ ბრძოლა ბირთული კატასტროფის აღმოსაფხვრელად გაგრძელდება მანამდე, სანამ რეაქტორები არ დაკონსერვდება. ჩვენ კვლავ პრიორიტეტს მივანიჭებთ ბირთული სადგურის მიდამოებში მცხოვრები მოქალაქეების საკვების უსაფრთხოებასა და ჯანდაცვას.
- ჩვენ დამატებით გავაძლიერეთ საკვები პროდუქციის მონიტორინგის სისტემა, რომელიც მიწისძვრის შემდეგ შემოვიღეთ. ა.წ. აპრილიდან დაგეგმილია საკვებ პროდუქტებში რადიაციული ნივთიერებების რეგულაციის ახალი სტანდარტების შემოღება, რომელიც ადრინდელზე უფრო მკაცრი იქნება.
- სახელმწიფო ფონდებიდან ერთ ტრილიონ იენზე მეტი მიემდვნება ატომური ელექტრო სადგურების ირგვლივ მდებარე საცხოვრებელი ადგილების გაუსწებოვანებას. ყველაზე ადრე აპრილისათვის ჩვენ ველოდებით, რომ გადავამოწმოთ მონიშნული ადგილები, რომელიც ამჟამად შედის აკრძალულ ზონაში და ვიმუშავებთ მანამ, ვიდრე მოსახლეობას არ დარწმუნდება, რომ მათ შეუძლიათ დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ სახლებში უახლოეს მომავალში.
- ეს არის შემთხვევა, რეგულირებულ ტერიტორიათა გამორიცხვით, როდესაც თითქმის ყველა რეგიონი დაუბრუნდა სტიქიურ კატასტროფამდე არსებულ ყოველდღიური ცხოვრების რიტმს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ხალხი, ვინც ჩამოვა იაპონიაში სამუშაოდ, ტურისტად თუ სასწავლებლად, იქნება უსაფრთხოდ. ჩვენ მივესალმებით ინვესტიციებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და პარტნიორულ ურთიერთობებს დაზარალებული რეგიონების რეკონსტრუქციისათვის.
- უსაფრთხოების საწინდარია დროულად მოწესრიგება და ინფორმირება ყველა ქვეყნისათვის. მე მოვითხოვ, რომ იმპორტზე კვლავ გაგრძელდეს შეზღუდვები, აგრეთვე, რჩევები მოგზაურთათვის არის გადამოწმებული და უსაფრთხო და ბოლო მონაცემები მეცნიერულად არის დადასტურებული.

4. საერთაშორისო საზოგადოების დახმარება

- იმ სიკეთის და დახმარების სანაცვლოდ, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ გამოიჩინა იაპონიის მიმართ ბუნებრივი კატასტროფის დროს, მინდა დაგარწმუნოთ, რომ იაპონია თავის თავში არ ჩაკეტილა და ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ აქტიურ საერთაშორისო დახმარებას ადამიანის უსაფრთხოების და მდგრადი გლობალური ეკონომიკის საკითხებში, უფრო კონკრეტულად კი, ეს ნიშნავს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას (PKO) და ოფიციალური განვითარების დახმარების უზრუნველყოფას (ODA).
- ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იაპონიის უმთავრესი პასუხისმგებლობაა, გაუზიაროს საერთაშორისო საზოგადოებას თავისი ცოდნა და კატასტროფის შედეგად მიღებული გამოცდილება, რათა მომავლმა თაობებმაც იცოდნენ ამის შესახებ. ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ საერთაშორისო საზოგადოებას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ბირთვული უსაფრთხოება და კასტროფის თავიდან აცილების საშუალებები. ამით ვასრულებ გახსნით განცხადებას.